გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 806 2016 წლის 27 ივნისი ქ. გურჯაანი

შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე, 33-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 58-ე, მე-60, მუხლების, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის საჯარო სკოლის 2016 წლის 30 მაისის № **MES** 9 1600572496 მომართვის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 მაისის №9/24945 წერილის, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 27 აპრილის № 01500321829 წერილის ქ. გურჯაანის საგანმათლებლო რესურს ცენტრის 2015 წლის 27 აპრილის № **MES** 31500322100 წერილის საფუძველზე ,

ვბრძანებ:

1. ნება დაერთოს სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის საჯარო სკოლას, დირექტორი - **ლეილა ბაზერაშვილი**, განახორციელოს, სახლემწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო მიწის ნაკვეთზე, ფართით 27495 კვ.მ (51.20.55.024), რომელიც უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია ზემოაღნიშნული სკოლის სარგებლობაში, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების: №2 საქვაბის (ფართი 66.64 კვ.მ-ის), №7 სატრაქტორე ფარეხის (ფართი 74.16 კვ.მ-ის) და №3 ელექტროგამანაწილებელი ჯიხურის (ფართი 13.6 კვ.მ-ის) დემონტაჟი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს, გასცეს დემონტაჟის სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 6 (ექვსი) თვით;.
4. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე დაევალოს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს;
5. ბრძანება ძალაშის მხარისათვის კანონმდებლობის დადგენილი წესით გაცნობის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24).

გამგებელი ბიჟი გერგიძე

„დამტკიცებულია“

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის
2016 წლის 27 ივნისი № 806 ბრძანებით

დამკვეთი: სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის საჯარო სკოლა (ს/კ 227730621)

საპროექტო ობიექტი: საქვაბის, სატრაქტორო ფარეხის და ელ. კიოსკის დემონტაჟი.

საფუძველი: - განცხადება.

მისამართი : სოფელი კაჭრეთი

საკადასტრო რუკა და რეესტრიდან ამონაწერი: **№ 51.20.55.024**

მიწის ნაკვეთის ფართი:

საქვაბე

დემონტაჟის განაშენიანების ფართი: **66.64** $მ^2$

დემონტაჟის საერთო ფართი: 54.0 $მ^2$

დემონტაჟის განაშენიანების ფართი: 219.9 $მ^3$

სატრაქტორო ფარეხი:

დემონტაჟის საერთო ფართი: 74.16 $მ^2$

დემონტაჟის საერთო ფართი: 59.3 $მ^2$

დემონტაჟის მოცულობა: 201.62 $მ^3$

ელექტროგამანაწილებელი ჯიხური

დემონტაჟის საერთო ფართი: 13.69 $მ^2$

დემონტაჟის საერთო ფართი: 10.6 $მ^2$

დემონტაჟის მოცულობა: 34.2 $მ^3$